

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

(საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ
საქართველოს კანონის პროექტზე)

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია პოლიტიკური პარტიებისათვის საარჩევნო სიების მონიტორინგისათვის გამოყოფილი ვადების სიმცირე.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია საარჩევნო სიების მონიტორინგისათვის განსაზღვრული ვადების გაზრდა.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსია, საარჩევნო სიების საფუძვლიანი მონიტორინგის მიზნით, პოლიტიკური პარტიებისათვის განსაზღვრული ვადის გაზრდა.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება დაკავშირებული არ არის ფულადი სახსრების ხარჯვასთან.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფოს რაიმე, ახალი ფინანსური ვალდებულება არ უჩნდება.

ბ.ე. კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

პირებს რომელზედაც გავრცელდება კანონის მოქმედება არ წარმოეშვებათ რაიმე სახის ფინანსური ვალდებულება.

ბ.ვ. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

კანონპროექტის მიღებით, რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან გადასახდელი არ დგინდება.

გ. კანონპროექტის მიმართულება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა. კანონპროექტის მიმართულება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ. კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ. კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა. სახელმწიფო, არასახელმწიფო, ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შემუშავებაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ. კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია-დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ. კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი – ჯონდი ბადათურია

დ.დ. კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი – ჯონდი ბადათურია.